

ტარიელ კინტურაშვილი

ოქარი
აქტერი

თბილისი
2012

UDC(უაკ) 663+1
3 – 528

რედაქტორი

აოგა ბელოპეტი



დიზაინერი დამქაბალონებელი

აოგა ბელოპეტი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

თამთა ჭავარიძი

ISBN 978-9941-0-4576-9



„ბუნებას ათასგვარი თეორიით ვუდგებით, ის კი
შეელა მათგანს უკუაგდებს“
პიერ ოგიუსტ რენუარი.

პროპენის ლანდი და ედელვაისი

ფრანკო წერი სტუდენტობის პერიოდში მთამსვლელობით იყო გატაცებული და, თუმცა ევერესტი არ დაუპყრია, სამაგიეროდ, მონბლანის, მონტეროზას და მატერპორნის მწვერვალები დალაშქრული ჰქონდა.

ერთხელ, როდესაც მთაში იმყოფებოდა, ცისარტყელათი გარშემორტყმული მოჩვენების მსგავსი ადამიანის სილუეტი შენიშნა. ეს სილუეტი, სინამდვილეში, მისი ჩრდილი იყო, რომელიც ღრუბლის მოლეკულებს ეცემოდა, ხოლო ღრუბელში შემავალი წყლის წვეთები მზის სინათლეს პანაწინა ცისარტყელებად შლიდა და მის ლანდს ნაირფერ შარავანდედად ასხივოსნებდა.

ფრანკომ უიშვიათესი სანახაობა იხილა... ერთხანს განცვი-ფრებული იდგა, მერე გვერდზე გაიხედა და ედელვაისი შენიშნა.

— რა საოცარია და ლამაზი ეს სამყარო, ვინ ჩაწვდება მის საიდუმლოებას? — გაუელვა ფიქრმა.



კაცარა მცყვმსის რსება

როცა ეოსი ნათელს მოფენს ტყეებს და გელებს,
ზურგქარს აჩუქებს ამფიტრიტე აფროსან გემებს,
გადაუფრენენ თოლიები გემებს და ნავებს,
ბატარა მწყემსი მინდვრად გარეგავს თხების თეთრ არვეს.
როცა მგლისფერი გადაეკერება ნამგლისებრ მთვარეს,
ბატარა მწყემსი ჩუმად ჩაუგლის ცხენების თავლებს.
თეთრ რაში მიაბყრობს მრავლისმეტყველ უზაგველ თვალებს
და გაუყვება მისთვის ნაცნობ ქარვისფერ ჭალებს.
შინ დაბრუნდება, სახლის სარკმლიდან გახედავს გორებს,
შეძღვე სიზმარში ნახავს თეთრ რაში და ჯინვის ფოთორებს.
გარეთ ქარბუქი ხეებს გააცლის ოქროსფერ ფოთლებს
და ხამარი ვიეხაში გამოცლის ბოთლებს.
დამჟ დადგება, ალბათ, მაღლე წვიმაც წამოვა;
ირიურაუებს, გამოიდარებს, მზე ამოვა;
მზე ცას მოსწყდება, დაეშვება, ზღვაში ჩამოვა,
ზღვა გათბება, ღრუბლებიდან კი მთვარე გამოვა.
და როს ეოსი ნათელს მოფენს მთებსა და ბარებს,
ბატარა მწყემსი მინდვრად გარეგავს თხების თეთრ არვეს.

თამადის ლექსი

ტონი ნერი

ტონი ნერი კუნძულ სიცილის უკიდურესი დასავლეთ
ნაწილის ტრაპანის პროვინციის ამავე სახელწოდების ქალაქში
იზრდებოდა და ათი წლიდან უკვე თხებს დაატარებდა სა-
ბალახოდ. საძოვრებიდან, სადაც დღის დიდ ნაწილს ატარებდა,
ზღვა მოჩანდა. მისი ფიქრებიც ზღვის ირგვლივ ტრიალებდა
— ოცნებობდა გემის კაპიტანი გამოსულიყო და მსოფლიოს სხ-
ვადასხვა მხარეში ემოგზაურა.



ტონის მამას ვენახი ჰქონდა. პატარა მწყემსიც, როცა თავისუფალი დრო გამოუჩნდებოდა, თამაშის ან დასვენების მაგივრად, მამას ეხმარებოდა ვენახის მოვლაში. განსაკუთრებით ყურძნის კრეფა-დაწურვის პროცესი უყვარდა.

ერთხელ ტონის დაესიზმრა: — თითქოს თავისი სახლიდან, დაახლოებით, ერთი კილომეტრით დაცილებული თავლის ნინ, მინდვრად გამოსულ თეთრ რაშზე ამხედრებულიყო, უკან თავისი გულის სწორი კლაუდია შემოესვა და თავი ამაყად ეჭირა, როდესაც გამვლელ-გამომვლელთა მზერა მის თვალებს მისწვდებოდა ხოლმე.

დილით გამოეღვიძა და გული დასწყდა, რავი ეს ყველაფერი სიზმარი აღმოჩნდა. იმ დღიდან მისი ფიქრები ზღვის ნაცვლად უვკე თეთრ რაშს დასტრიალებდა. ამის შემდეგ ის სიზმარში სშირად ხედავდა თეთრონს...

წლები წლებს მისდევდნენ და როდესაც ტონის ცხრამეტი წელი შეუსრულდა, ისევე, როგორც მისმა მრავალმა თანამემამულემ, ამერიკაში გამგზავრება გადაწყვიტა.

1913 წლის ადრიანი გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ტონი ნერიმ კურსი ნიუ-იორკისკენ აიღო, გემით ატლანტის ოკეანე გადალახა და ამერიკაში ჩავიდა. სამშობლოდან წამოღებული სამი ბოთლი, რომელშიც მის მიერ დაყენებული სიცილიური ღვინო „მარსალა“ ესხა, — ტონიმ გემზე მყოფ სხვა სიცილიელებთან ერთად გამოცალა.

ჩასვლისთანავე ნიუ-იორკის პორტში მტვირთავად დაიწყო მუშაობა, — ერთ წელში კი ევროპაში პირველი მსოფლიო ომი დაიწყო.

მეოცე საუკუნის გარიურაუზე იტალიიდან, განსაკუთრებით კი სიცილიიდან ბევრი წავიდა ამერიკაში ახალი ცხოვრების დასაწყებად. მათი დიდი ნაწილი სრულიად გაუნათლებელი — წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ისინი ამერიკის სხვადასხვა ქალაქების ერთ უბანში სახლდებოდნენ, ცხოვრობდნენ ღარიბად და დამნაშავეობის ჭაობში ეფლობოდნენ.

ფეხის ხმას ტონიც აჲყვა და, მართალია, ნიუ-იორკის პორტში მტვირთავად რამდენიმე წელი იმუშავა, სამსახურზე გული



მაინც აიცრუა და ოთხკაციანი ბანდა ჩამოაყალიბა. მათთან ერთად ათამდე სახლი გატეხა და ცოტაოდენი ფულიც მოაგროვა. რაც მთავარია, პოლიციელებს ერთხელაც არ ჩავარდნია ხელში.

ცოტა ხანში იგი ნიუ-იორკის ერთ-ერთმა გავლენიანმა დონმა შეამჩნია და სამსახურში აიყვანა. ორიოდ დღეში ამერიკაში მშრალი კანონიც ამოქმედდა. როგორც ალკოჰოლიანი სასმელების კარგი მცოდნე, — დონმა ის სპირტიანი სასმელების არალეგალური სახდელის უფროსად დანიშნა და მაღალი გასამრჯელოც დაუნიშნა.

მიუხედავად იმისა, რომ სროლაც კარგად ემარჯვებოდა, ბუნებით მშვიდობისმოყვარე ტონის განგსტერობა მაინც დამაინც არ ხიბლავდა, — ის კმაყოფილი იყო რასაც აკეთებდა...

ტონიმ საკმაო კაპიტალი დააგროვა, მაგრამ დასასრული ყველაფერს აქვს – 1933 წელს მშრალი კანონი გაუქმდა. ამ მოვლენიდან რამდენიმე დღეში ნიუ-იორკში მაფიოზებს შორის სიტუაცია მეტისმეტად დაიძაბა, — ზოგი ლეგალური საწარმოების ჩამოყალიბების მომხრე იყო, ზოგს კი, მათ შორის ტონის ბოსს, რომლის ძირითად საქმიანობას რეკეტი, აზარტული თამაშები და მშრალი კანონის პირობებში ალკოჰოლიანი სასმელების რეალიზაცია წარმოადგენდა, მაფიის ლეგალიზაციას ეწინააღმდეგებოდა.

მალე შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყო. ამ კონფლიქტმა დონი იმსხვერპლა – ის ქუჩაში, საკუთარ სახლთან ახლოს თავის ორ მცველთან ერთად დაცხრილეს.

ამ მკვლელობიდან დაახლოებით ერთ თვეში ტონიმ მოახერხა და ამერიკა მიატოვა – იტალიაში დაბრუნდა, მაგრამ მშობლიურ ტრაპანიში ცხოვრება აღარ ისურვა და ქალაქ ბრინდიზში დასახლდა. დაგროვილი ფულით სახლი და ვენახი იყიდა, ცოტა ხნის შემდეგ კი პატარა ღვინის საწარმოც აამუშავა, მერე ოჯახი შექმნა, — ცოლად თავისზე ექვსი წლით უმცროსი მონიკა სენტიმენტი შეიირთო, რომელიც სკოლაში ქიმიის მასწავლებლად მუშაობდა. მალე მათ ტყუპი ქალ-ვაჟი ბრუნი და მარია ეყოლათ.

ტონის საქმე სულ უფრო წინ მიიწევდა. ის, მართალია, გამჭრიახი და მშრომელი კაცი იყო, მაგრამ, ისიც სათქმელია, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში იღბალიც თან სდევდა.



ამერიკაშიც ბევრჯერ გაუღიმა ბედმა, — არც იტალიაში და სხვაგან უქცევია მისთვის ფორტუნას ზურგი.

იმ დღიდან, რაც პირველად ჩამოისხა ღვინო „ტონი ნერის“ სახელწოდებით, სამი წელი იყო გასული და ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო სიმბოზიუმზე ტონი ნერის სამარკო ღვინომ, რომელიც აპერიტივს განეცუთვნებოდა, დიდი მოწონება დაიმსახურა.

ტონის ალკოჰოლიანი სასმელების ქარხანაში მაღალი თანამდებობაც შესთავაზეს და კონტრაქტი გაუფორმეს, რომლის პირობით ეს ქარხანა, ხუთი წლის განმავლობაში, „ტონი ნერის“ სამარკო ღვინოებს გამოუშვებდა, რისთვისაც ყოველწლიურად მას საკამოდ დიდ თანხას გადაუხდიდნენ.

ტონიმ ბრინდიზში თავისი პატარა ღვინის საწარმო გაყიდა, ოჯახით საცხოვრებლად ჩილეში გაემგზავრა და ერთ წელიწადში ევროპაში მეორე მსოფლიო ომიც გაჩაღდა.

ტონიმ მაინც აისრულა ბავშვობის დროინდელი ოცნება და ჩილედან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ანდალუზიური ჯიშის თეთრი ცხენი იყიდა. ცხენს პიზანელო დაარქვა.

ვრანკო ნერი

და, აი, გათენდა! მზემ თავისი მცხუნვარე სხივებით ნათელი მოფინა იტალიის მშვენიერ მხარეს — აპულიას. ამ რეგიონის უკიდურეს სამხრეთ ნაწილს სალენტინის ნახევარკუნძულს უწოდებენ, რომელიც ჩექმის ფორმის იტალიის „ქუსლს“ ნარმოადგენს. სალენტინის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთით, ადრიატიკის ზღვის პირას მდებარეობს ქალაქი ბრინდიზი. იტალიურად „ბრინდიზი“ სადღეგრძელოს ნიშნავს და ამ სახელწოდების შინაარსობრივი დატვირთვა სრულ ჰარმონიაშია სინამდვილესთან — აპულია ხომ განთქმულია მეღვინეობით.

როგორც ვთქვი, გათენდა. მზემ სხივები ბრინდიზის მკვიდრის, ფრანკო ნერის საძინებელი ოთახის სარკმელსაც სტყორცნა... ფრანკოს გამოეღვიძა, საწოლიდან ნამოდგა, მაგიდასთან მივიდა და წერა დაიწყო. ცოტა ხანში შიმშილმა შეაწუხა, თუმც კუჭმა ვერ გადაწონა წერის სურვილი და მაინც მშიერმა გა-



ნაგრძო ჯიუტად მუშაობა. ორიოდე საათში დაასრულა ერთი კვირის წინ დაწყებული მარათონი, – კომპანია „ტონი ნერის“ ჩამოსხმული გრაპა დაისხა ჭიქაში – ორ სიტყვიანი სადღეგრძელო თქვა: – „საქართველოს გაუმარჯოს“ და სასმელი გადაკრა. ამ რიტუალით დალოცა საქართველო და თავისი ნაშრომი, რომელიც ათ დღეში დაიბეჭდა უურნალ „ტონი ნერის“ ფურცლებზე სახელწოდებით – „ფერადი აპერიტივი“.

ეს უურნალი თვეში ერთხელ გამოდიოდა, მისი დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ფრანკო ნერი გახლდათ და განსაკუთრებული პოპულარობით აპულიასა და აპულიას მეზობელ სამხრეთ იტალიის რეგიონებში: მოლიზეში, კამპანიაში, ბაზილიკატასა და კუნძულ სიცილიაზე სარგებლობდა.

ფრანკოს ოჯახში ჰყავდა დედა – ორნელა ბერტოლინი, მამა – ჯოვანი, ორი წლით უფროსი ძმა – მატეო, რომელიც ცოლშვილიანი იყო და პაპა – მამის მხრიდან – ბრუნო ნერი. მატეოს ჰყავდა ულამაზესი მეუღლე – ილარი და ექვსი წლის ტყუპი ქალ-ვაჟი – კონსტანტინა და პიეტრო.

ფრანკოს ძმა მამასთან ერთად მართავდა კომპანია „ტონი ნერის“ და საკამოდ წარმატებითაც. მათი ბიზნესი დღითიდღე წინ მიიწევდა, – ნერის ოჯახის ჩამოსხმულ ღვინოებზე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა მომხმარებელთა მოთხოვნა როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზარზე. ოჯახურ ბიზნესში ფრანკოც იყო ჩაბმული – მარკეტინგის განყოფილებას ხელმძღვანელობდა და, როგორც უკვე აღვნიშნე, მთავარი რედაქტორიც ბრძანდებოდა უურნალისა, რომლის ძირითად თემას ღვინო წარმოადგენდა, თუმცალა მრავალნაირი ისტორიული ჟანრის მასალაც მოიძიებოდა და, რაღა თქმა უნდა, საკუთარი ფირმის რეკლამირებასაც ისახავდა მიზნად. – უურნალმა განსაკუთრებით ბოლოდროინდელ წარმატებებში შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი.

ერთი სიტყვით, ფრანკო შეძლებული ადამიანი იყო, – ცხოვრობდა მარტო, ორი წლის წინ შეძენილ სამსართულიან ვილაში და მაინცდამაინც ცოლის მოყვანას არ ჩქარობდა, თუმცა რჩეული უკვე ჰყავდა, – თავის მომავალ ცხოვრებასაც ფიქრებში სოფია ტრიჩელასთან ერთად წარმოიდგენდა ხოლმე. სოფია



ფრანგოზე ოთხი წლით უმცროსი, ოცდარვა წლის, საშუალო სიმაღლის გოგო იყო, რომლის სახეც სამხრეთ იტალიურ ტემპერამენტს ასხივებდა და თავის დროზე თავისი ეშხიანობით მონუსხა კიდეც ამ ამბის მთავარი გმირი.

ფრანგო, მამისგან, ძმისგან და მოხუცი პაპისგან განსხვავებით, დიპლომიანი ენოლოგი არ ყოფილა. — ფრანგოს პაპამ, თავისი ასაკის გამო, კომპანია „ტონი ნერის“ მართვის სადაცები ამ რამდენიმე წლის წინ მთლიანად შვილს, — ჯოვანის გადააბარა და ახალ სამსახურად თავისი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული შვილიშვილის მასწავლებლობა დაისახა. გულმოდგინე მეცადინეობების შედეგად ფრანგო კარგად გათვითცნობიერდა მეღვინეობის საკითხებში და ცოტა ხანში მისი დარი ჭაშნაგირი მთელს აპულიაში სანთლით საძებნელი იყო.

დიპლომიანი ენოლოგი არც ტონი ნერი ყოფილა, — კაცი, რომელმაც თავის დროზე უდიდესი შრომის შედეგად დააარსა პატარა ღვინის საწარმო. ტონი ფრანგოს დიდი პაპა იყო.

ფრანგოს იმჟამინდელ საქმიანობასთან შედარებით, სრულიად განსხვავებული პროფესია ჰქონდა — ლოზანის უნივერსიტეტის კრიმინალისტიკის სკოლის დამთავრების შემდეგ ერთხანს სამეცნიერო-კრიმინალისტიკური სამსახურის აგენტად მუშაობდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მისვდა, რომ ამ საქმით გადაიღალა და პროფილის შეცვლა განიზრახა. ის ხუთ ენაზე საუბრობდა, — მშობლიური იტალიურის გარდა ფლობდა: ფრანგულს, გერმანულს, ინგლისურს და მოგვიანებით ქართული ენის შესწავლაც არ გასჭირვებია. ფრანგოს უყვარდა მხატვრობა და წიგნების კითხვა. გამორჩეულად მოსწონდა ბაროკოს პერიოდის მხატვრები: იტალიელი კარავაჯო, ჰოლანდიელი რემბრანდტი და ფლანდრიელი რუბენსი, ხოლო რაც შეეხება ესპანელი დიეგო ველასკესის სურათს „ვენერა სარკის წინ“ საუკეთესოდ მიიჩნევდა და შიშველ ვენერას ქალის სილამაზის ეტალონად აღიქვამდა. ვენერას სარკეში არეკლილ სახეს, თავისი შეყვარებულის სოფია ტრიჩელას სახესაც კი ამსგავსებდა.

მწერლებიდან გერმანელ ერის მარია რემარკს, ამერიკელ ედგარ ალან პოს, რუს ლევ ტოლსტოის და იტალიური წარ-



მოშობის ამერიკელ მარიო პიუზოს ანიჭებდა უპირატესობას. ბავშვობიდან გამორჩეულად მოსწონდა, — ედგარ ალან პოს დეტექტიური ჟანრის მოთხოვნების პერსონაჟი, განსაკუთრებული ანალიტიკური აზროვნების ნიჭით დაჯილდოებული შევალიე შ. ოგიუსტ დიუპენი. — წიგნებიდან პიუზოს ნათლიას გამოარჩევდა და, ისევე როგორც სოფიას შემთხვევაში, ამ წიგნის ერთ-ერთ მთავარ გმირს ვიტო კორლეონეს ხასიათით თავის პაპას ბრუნის ამსგავსებდა. მართლაც ბრუნი ნერის ჰქონდა რაღაც ისეთი პიროვნული მომხიბვლელობა, — საუბრის წარმართვის და მოვლენების ანალიზის ისეთი განსაკუთრებული უნარი, როგორც ნათლია კორლეონეს. ავი ის 1967 წლიდან მოყოლებული მთელი ორმოცი წელი ღირსეულად უძღვებოდა ქალაქ ბრინდიზში მამამისის მიერ ხელმეორედ დაარსებულ ღვინის უკვე დიდ საწარმოს, — „ტონი ნერის“.

საქართველო

ფრანკო სამზარეულოში კაკლის ხისაგან დამზადებულ მაგიდასთან იჯდა, დედის მომზადებულ ტირამისუს კაპუჩინოს აყვლებდა, შემცნებითი ხასიათის ლამაზად ილუსტრირებულ ახალ ჟურნალს ფურცლავდა და სოფიას მოსვლას ელოდებოდა. ჟურნალის ერთ-ერთ გვერდზე ფრანკომ წაიკითხა, რომ საქართველოს ძველ ნაქალაქარ დმანისში, მეცნიერებმა აღმოაჩინეს ევრაზიაში ყველაზე ძველი ადამიანის ძვლები. ის ამის შემდეგ დაინტერესდა საქართველოთი, სხვა ისტორიული ცნობებიც მოიძია და ბევრი რამ შეიტყო ამ ქვეყანაზე. მისი ინტერესი განსაკუთრებით გააძლიერა შემდეგი სახის ისტორიულმა ფაქტებმა:

— ელიოზ მცხეთელმა და გაიოზ კარსნელმა, რომლებიც ეროვნებით ებრაელები იყვნენ, ჯვარცმული ქრისტეს კვართი პალესტინიდან საქართველოს მაშინდელ სატახტო ქალაქში, — მცხეთაში ჩაიტანეს. ელიოზის დამ სიდონიაშ გულში ჩაიკრა მაცხოვრის კვართი და გარდაიცვალა. — ამ ადგილას სვეტ-იცხოველის ტაძარია აღმართული.



— მას შემდეგ რაც ქრისტე აღსდგა და ზეცად ამაღლდა, ღვთისმშობელმა მარიამმა და ქრისტეს მოციქულებმა „წილი იგდეს“ საქართველოს გაქრისტიანება. — საქართველო წილად ხვდა ღვთისმშობელს.

— ქრისტიანულ სამყაროში უდიდესი წმინდანის, წმინდა გიორგის სახელზე საქართველოში დაახლოებით 365 ეკლესიაა აშენებული.

— V საუკუნეში მსოფლიოში მოქმედებდა მხოლოდ ექვსი დამოუკიდებელი ეკლესია: რომის, კონსტანტინეპოლის, ანტიოქიის, ალექსანდრიის, იერუსალიმის და ქართული.

— დღესდღეობით მოქმედი სამი ათასზე მეტი ენიდან მხოლოდ თოთხმეტს გააჩნია საკუთარი დამწერლობა და ამ თოთხმეტი დამწერლობიდან მხოლოდ ქართული ანბანია და მოუკიდებლად შექმნილი.

— ქართველებს მრავალ ბრძოლებს შორის მოგებული აქვთ დიდგორის ბრძოლა. — 1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ველზე გაერთიანებული მუსლიმანური სამყაროს სამას ათასიან ლაშქარს ორმოცდათხუთმეტი ათასმა უმამაცესმა მებრძოლმა, დიდი ქართველი მეფის დავით აღმაშენებლის სარდლობით, მუსრი გავლო.

— საქართველო კულტურული ვაზის ფორმათა წარმოქმნის ერთ-ერთი ძირითადი კერაა და ამ ქვეყანაში აღმოჩენილი ყურძნის წიპწები, ძვ-წ.VII-VI ათასწლეულებს განეკუთვნება.

— ქართველთა „განმანათლებელმა“ კაბადოკიელმა ქალმა — ნინომ ჯვარი ვაზისაგან გააკეთა (ასეთი ჯვარი ქართველებში შორეული წარსულიდან იყო მიღებული და აღსანიშნავია, რომ სხვა ქრისტიან ხალხს ვაზის ჯვარი არ ჰქონდათ).

ფრანკომ კიდევ ბევრი რამ გაიგო ამ საინტერესო ქვეყნის შესახებ და მეტისმეტად მოიხიბლა საქართველოთი. გადაწყვიტა ქართული ესწავლა, წასულიყო ამ დიდი სიწმინდის და ისტორიის მქონე პატარა ქვეყანაში, თავისი თვალით ეხილა ის საოცრება, რაც მხოლოდ წაეკითხა და გაეგონა და თავის შურნალში აღეწერა განცდილი შთაბეჭდილებები.



ახალგაზრდა მხატვარი, ფრანგოს მეგობარი ჯუზეპე იცნობდა ერთ ქართველ მხატვარს ნიკოლოზ ფერაძეს, რომელიც, აგერ, უკვე მეხუთე წელი სრულდებოდა, რაც ოჯახით ბრინდიზში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. იტალიურად მშვენიერი მოუბარიც იყო და მას შეეძლო, ფრანგოს ქართული ენის ათვისების საქმეში ეთამაშა გადამწყვეტი როლი.

ჯუზეპემ ნიკოლოზი თავის მეგობარს გააცნო და თითქმის ერთწლიანი გულმოდგინე მეცადინეობების შემდეგ ფრანგო თავისუფლად წერდა, კითხულობდა და ლაპარაკობდა ქართულად. ეს არც იყო გასაკვირი, იგი ხომ უცხო ენების ათვისების საუცხოო უნარს ფლობდა.

და აი დადგა ეგზოტიკური მოგზაურობის უამიც. ფრანგომ, მადლობის ნიშნად, ნიკოლოზს ბრილიანტის თვლებით მოოჭვილი ბაჯაღლო ოქროს საათი აჩქა, დაემშვიდობა და თავის მეგობარ ჯუზეპესთან ერთად გეზი საქართველოსკენ აიღო, — ქათქათა ავიალაინერი თეთრი თოლიასავით ნარნარი ფრენით დაეშვა საქართველოს დედაქალაქის, თბილისის აეროპორტში.

ნაწყვეტი ფერადი აპერიტივიდან

მე და ჯუზეპე ძველ თბილისში, პატარა ლამაზ სასტუმროში დავბინავდით, ძველ თბილისად ქალაქის ისტორიულ ნაწილს მოიხსენიებენ. ეს ქალაქი ლირშესანიშნავი ადგილების სიმცირეს, რომ არ უჩივის, ერთი შეხედვით, შეუიარაღებელი თვალითაც შესამჩნევი ხდება მნახველისთვის.

მე და ჯუზეპემ ცოტა დავისვენეთ და სალამოს ქალაქის დასათვალიერებლად გავედით. სიარულით გული, რომ ვიჯერეთ, ჩვენს სასტუმროსთან ახლოს მდებარე რესტორნისკენ გადავუხვიეთ. გამომგზავრებამდე ქართულ სამზარეულოს ინტერნეტით გავეცანით და რამდენიმე კერძის სახელწოდებაც კი დავიმახსოვრე.

რესტორანი აგურით იყო მოპირკეთებული, ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა და მთელი ტერიტორია ანტიკვარული ნივთებით გაეწყოთ. მე, როგორც ქართულად მოსაუბრემ, ჩვენი

არჩევანი ოფიციანტს გავუზიარე და მალე მაგიდა ნაირნაირი კერძებით შეივსო. ოფიციანტმა ჯერ საფერავის ჯიშისაგან დამზადებული ღვინო – „მუკუზანი“ მოგვიტანა, ღვინოს შოთის პურები და ყველის ასორტი მოყვა, რომელიც სამი სახის: მეგრული სულგუნის, თუშური გუდის და იმერული ყველისგან შედგებოდა... შემდეგ მაგიდა მრავალგვარი ხორაგით ერთიმეორის მიყოლებით დამშვენდა: წიგვზით შეზავებული კიტრისა და პამიდვრის სალათით, ტყემლის საწებლით, მეგრულად მომზადებული კუპატით, შამფურზე აგებული მწვადებით და აჭარული ხაჭაპურებით...

ჩვენს გვერდით ქართველები ქეიფობდნენ. უცებ მხიარული ყიუინა შეწყდა, თამადამ, რომელსაც ღვინით სავსე ფიალა ეკავა ხელში, – სახელოვანი ქართველი მეფის, თბილისის დამაარსებლის, ვახტანგ გორგასლის სადღეგრძელო წარმოთქვა ლექსად:

კოლხეთში დღესაც მიპქრის თეთრონი

და უერთდება შაგ ზღვას რიონი,

ალაზნის პირას გაზი ყვავილობს,

კახეთს დაპყურებს კავკასიონი.

მცხეთას გილოცე სგეტიცხოველში,

დედაქალაქში მეღის სიონი,

მეტეთან ცხენზე ამხედრებული

დგას გახტანგ მეფე — სდუმს თალპიონი.

— „ღურ აზ გორგასარ!“ — მოერიდეთ თაქსა მეღმასა!

გაბჟყვროდნენ ერთ დროს სპარსელნი

და იყო ბრძოლა, სისხლისღვრა, ომი...

მგლისთავა მეფე მუსოს ავლებდა ურიცხვ ლაშქარს და

ხმლით ჩენავდა ურჯულოებს, გითარცა ლომი.



დღესაც დაქრიძნ თეთრი რაშები,
დღესაც ჩვენა გვაქვს სამშობლო ვაზის,
საქართველოში კვლავ გაჩნდებიან
მხვაჭნი გორგასლის და ფარნავაზის.

მეტეხის ეკლესიის ნინ, მოედანზე, ცხენზე ამხედრებული გორგასლის ძეგლი, რომელიც მედიდურად გადაჰყურებს მდინარე მტკვარს და ძველი თბილისის შესანიშნავ ხედებს, ჩვენი რესტორნის სარკმლიდანაც ჩანდა.

მაგიდაზე დახვავებულ ხორაგს ბოლომდე ვერ მოვერიეთ, მაგრამ, გასინჯვით, ყველაფერი გავსინჯეთ. ქართული სამზარეულო ძალიან მოგვეწონა, თუმცა ბოლომდე ჭამა-სმა არც დაგვცალდა – ჩვენს გვერდით მოქეიფე ქართველებმა გაიგეს, იტალიელები ვიყავით და თავიანთ სუფრასთან მიგვიპატიშეს. მასპინძლებს შევატყვე, ესიამოვნათ ქართულად კარგად, რომ ვსაუბრობდი და უფრო გულითადად დაიწყეს ბაასი – ამასობაში თამადას, როგორც შემდეგ გავარკვიე, ლიტრანახევრიანი ყანწი შეუვსეს. ის ფეხზე წამოდგა, დაგვლოცა მე და ჯუზეპე, ადლე-გრძელა ჩვენი სამშობლო – იტალია და ლინო ბოლომდე გამოცალა. სუფრის დანარჩენმა წევრებმაც დაგვლოცეს და ყანწი რიგრიგობით დააცარიელეს... ჯერი ჩვენზე მიდგა, ცოტა არ იყოს, შევშფოთდით ამხელა სასმისის დანახვაზე, მაგრამ უკან აღარ დავიხიეთ, ქართველებს მივბაძეთ და რქანითელის ჯიშის ყურძნისაგან დაყენებული ტიბაანით ყელი ჩავიკოკლოზინეთ.

რამდენიმე წუთში მერიქიცემ ჯიხვის რქის ყანწი ისევ ბოლომდე შეავსო და თამადას გაუწოდა. თამადა წამოდგა და თავის სამშობლო დალოცა. ეს სადლეგრძელოც ლექსად გამოთქვა:

სისხლით მორწყულო დიდგორის გელო,
ბაბილოგანო ვენახის ჩეროვ,
ლომებრ მდგრინავო ერო და ბერო,
ლეკვნო მგლისანო, მუხავ ბებერო,



ტებილო წექტარო — წყაროვ მთისაო,

ფიჭვნარში მდგარო თდავ წისაო,

წმინდა ტაძრებო, ძეგლნო ქვისანო,

ჯიხვებო შვილნო საღი კლდისანო,

თეთრო თეთნულდო, თეთრად მნათობო,

მიწაგ წყლიანო, დილავ, ცვრიანო,

გეფსისტყაოსნის უკვდავო სიბრძნევ,

რუსთველის სიტყვავ, ენაწყლიანო,

შენ გადღებრძელებ, ალმასისდარო,

მოქროვილო, მხარევ შზიანო!

როდესაც აპლოდისმენტები მიწყნარდა, რომელსაც ჩვენც
დიდი სიამოვნებით შევუერთდით, თამადამ მცირე პაუზის შემ-
დეგ ომახიანად დასჭექა — საქართველოს გაუმარჯოს!!!

ყანწი, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა, დანარჩე-
ნებმაც გამოცალეს. მე და ჯუზეპეს ფერი გვეცვალა, მაგრამ
რა გაეწყობოდა? — იგივე რომ არ მოგვემოქმედებინა, ჩვენგან
აშკარად უპატივცემულობა გამოვიდოდა. ჯერი ჯუზეპეზე
მიდგა — მისი სადლეგრძელო გადავუთარგმნე ქართველებს და
ჩემმა მეგობარმაც პატარა სასწაული მოახდინა — ლიტრანახ-
ევარი ღვინო ისევ ერთი მოყუდებით გამოცალა. აღარ მასხსოვს,
როგორ აღმოჩნდა ღვინით დამძიმებული ყანწი ჩემს ხელებში....
ღრმად ამოვისუნთქე, ძალა მოვიკრიფე და საქართველო ვადლე-
გრძელე: — თავდაპირველად ავღნიშნე, რომ ჩვენ იტალიის ქალაქ
ბრინდიზიდან ვიყავით — ქალაქიდან, რომელსაც სახელად „სა-
დლეგრძელო“ ჰქვია, — ღვთაებრივი სასმელი, ღვინო, ჩემთვის
ასე კარგად ნაცნობი და ახლობელი რომ არის, ესეც აღვნიშნე.
თამადას სრული გულწრფელობით ასე მივმართე: — მე, „სადლე-



გრძელოში “მცხოვრებ კაცს, დღემდე არ გამეგო ასეთი გულში-ჩამწვდომი, შინაარსიანი, ლექსად ნათქვამი სადლეგრძელოები. ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოს შესახებ ბევრი რამ წავიკითხე. გავიგე როგორი ისტორიის, სინმინდისა და სიძველის ქვეყანაა თქვენი სამშობლო, მაგრამ ერთი რამ დღეს აღმოვაჩინე: საქართველოს მთავარი ხიბლი, უპირველესად ყოვლისა, თქვენშია – ხალხში, ქართველებში... დღეს მე თქვენთან ერთად ვარ და ისეთ შთაბეჭდილებას ვიღებ, როგორიც არსად განმიცდია, – მაშ, გაუმარჯოს ამ ლამაზ ქვეყანას, თავისი ლამაზი ხალხით!!! ყანწი მოვიყუდე და ჯერ ღვინო ბოლომდე გამოცლილი არ მქონდა, ქართველებმა ხალხური „ჩაკრული“ შემოსძახეს... სწორედ ასე ჰქვია სიმღერას, რომელიც „ნასამ“ 1977 წელს კოსმოსში გაგზავნა.

დასასრულს თამადამ თავისი ლექსთა კრებული გადმომცა და წიგნს ავტოგრაფად მიაწერა: „პატივისცემით ჩემს ახალ-შეძენილ იტალიელ მეგობარს – ავტორისაგან.“ – წინადადების წერისას ამომხედა, თავის ავტოკალამზე მიმითითა და, რადგან მასთან საუბარში უკვე ნახსენები მქონდა, ერთხანს სამეცნიერო-კრიმინალისტიკური სამსახურის აგენტად რომ ვმუშაობდი, ჩემ ძველ საქმიანობასთან დაკავშირებული ნაცნობი ტერმინოლოგით მომმართა, – ეს დწმ-იანი კალამიაო. – უფრო გასაგებად, რომ განვმარტო, კალმის რეზერვუარში, მელანთან ერთად, მისი ნერწყვიც იყო შერეული. საერთოდ, ზოგი ცნობილი ადამიანი დწმ-იან კალამს ხელმოწერის გაყალბების გამოსარიცხად იყენებს. – თამადას გულითადი მადლობა გადავუხადე და მეგობრობის ნიშნად გადავეხვიე.



დრო ნავივით მიცურავს

გათენდა, მზე თავისი მცხუნვარე სხივებით კვლავ მოეალერსა იტალიის მშვენიერ მხარეს აპულიას და მის ლამაზ ქალაქს – ბრინდიზს. ფრანკომ გაიღვიძა, მაგრამ კარგა ხანს ბურანიდან ვერ გამოერკვა. ძალიან უცნაური სიზმარი წახა. დაესიზმრა საქართველოში გაცნობილი თამადა თითქოს მისი დიდი პაპა ტონი ნერი იყო და მან, რომელიც ისეთივე ფერადი შარავანდედით გარშემორტყმულიყო, როგორითაც მთაში ფრანკოს ლანდი იყო გარშემორტყმული, ესეთი წინადადებით მიმართა – „დრო ნავივით მიცურავს“.

ფრანკოს რამდენიმე დღის განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდა ეს სიზმარიც და სულ რაღაც სამი სიტყვისგან შემდგარი ქარაგმული წინადადებაც. ერთ დღეს, როდესაც ქართველი თამადის ლექსებს კითხულობდა, ყურადღება მიაქცია ლექსს, რომელსაც სათაურად ერქვა „პატარა მწყემსის ოცნება“ . გაახსენდა პაპის – ბრუნო ნერის ნაამბობი ტონი ნერის შესახებ, მათ შორის, ამბავი, უფრო სწორედ სიზმარი პატარა მწყემსისა, რომელმაც თეთრი რაში წახა და ოცნების სრულ მშვენიერებას ჩასწოდა. მოგვიანებით, როცა მოაგონდა თამადის დნმ-იანი კალმით წიგნზე მიწერილი სამახსოვრო წარწერა, იმ სამსიტყვიან წინადადებასაც მოუძებნა ახსნა. მოკლე ფრაზამ – „დრო ნავივით მიცურავს“ – ფრანკოს გადააწყვეტინა თამადის და თავისი გენეტიკური ანაბეჭდი ერთმანეთისთვის შეედარებინა, ვინაიდან ამ წინადადების შემადგენელი სიტყვების აბრევიატურა „დნმ“-ად იშიფრებოდა.

განზრახვა აღასრულა და მოხდა სასწაული: მათი ანაბეჭდები ერთმანეთს დაემთხვა, არადა, ორი პირის გენეტიკური ანაბეჭდის დამთხვევის ალბათობა მილიარდიდან ერთია.

ამ ამბებიდან ბევრ დროს არ გაუვლია – ფრანკო დაქორწინდა. ცოლად, რაღა თქმა უნდა, თავისი მიჯნური სოფია ტრიიჩელა შეიირთო. ჯუზეპემ, რომელიც ფრანკოს მეჯვარე ბრძანდებოდა, ქართველებისგან მიღებული გამოცდილება ქორწილში გამოიყ-



ენა — საქართველოდან წამოღებული ჯიხვის რქის მოზრდილი ყანწით ნეფე-პატარძლის სადღეგრძელო შესვა. ნაირნაირი საჭმელ-სასმელით დახუნძლულ სუფრას DOC-ის კატეგორიის ტონი ნერის სამარკო ღვინო L'ARCOBALENO ამშვენებდა. ქორნილში ნიკოლოზ ფერაძეც იყო ოჯახითურთ. მან ღვინის სახელწოდების იდენტური დასათაურების სიმღერის შესრულება სთხოვა მუსიკოსებს. მალე L'ARCOBALENO (რომელსაც ადრიანო ჩელენტარი შესანიშნავად ასრულებს) აუდერდა და საყოველთაო მხიარულება კიდევ უფრო მეტად დაამშვენა.

ფრანკომ და სოფიამ თაფლობის თვე საქართველოს ზღვისპირა ქალაქში გაატარეს. აგვისტოს ცხელ დღეებს მათი ვნებიანი ურთიერთლტოლვის სიმხურვალე აჭარბებდა. თავად, ზღვისპირაქალაქელებმა, ზღვაში შეცურვა სულ ოთხჯერ თუ ხუთჯერ მოახერხეს — საღამოობით ბათუმის თვალწარმტაც ბულვარში სეირნობდნენ, დანარჩენ დროს ერთმანეთის მოფერებას უთმობდნენ.

თაფლობის თვის ბოლოს თბილისსაც ესტუმრნენ და სამი დღე დარჩნენ. ფრანკომ, თბილისში ჩასვლისთანავე თამადა მოიკითხა, მაგრამ მისი მონახულება ვერ მოხერხდა, თამადა ნიუ-იორკში წასულიყო სამუშაოდ.

იტალიაში დაბრუნებამდე, ერთი დღით ადრე, ფრანკო და სოფია მეტების ეკლესიის წინ, მოედანზე, ცხენზე ამხედრებული გორგასლის ძეგლთან ახლოს იდგნენ და გადაჰყურებდნენ მტკვარს, რომელიც მათ ქვემოთ ზანტად მიედინებოდა. ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე ნამგალა მთვარე კიაფობდა. ფრანკომ სოფიას აკოცა და თამადის ლექსი წაუკითხა მეუღლეს. ეს ერთერთი იყო თამადის იმ ოთხი ლექსიდან, რომელიც ფრანკომ ზეპირად იცოდა.

მართამობის თვე მიღის და ზაფხული იწურება,

მაღე შემოდგომა მოგა, ყურძენი დაიწურება,

გიორგობის თვეც ჩაიგლის, დადგება ციფი ზამთარი,

დათოვლილ ტყისაკენ წავალ, როგორც მშიერი აფთარი,



გაზაფხულზე მზე ინათებს, გაფერადდება აპრილი,
მინდგრად ლურჯ იას ექნება ტანი ლამაზად აყრილი.
ასს დასი მოსდეგს და მოყვება დასის ასი,
მერცხალი ბუდეს იშენებს, მზისა ფერია მასი,
ბარში გარდი გათფურჩქანა, მთას შგენის ედელვასი,
ზღვას გაგყურებ, გარეშემო
ზღვისა და შენი ხმა ისმის.
გაზაფხულია, მთები გამწვანდა,
მზე გაკაშკაშდა, მოდის ზაფხული...
მე შემოგხედე — შენ სილამაზე
გქონდა ქალღმერთის, ჯერ არნახული.

გროტესკული სიზმარი

მომდევნო ერთი წლის მანძილზე, ფრანკოს ცხოვრებაში რამდენიმე ლირსახსოვარი მოვლენა მოხდა. ის ინტერნეტით დაუკავშირდა თამადას და უჩვეულო ამბავი უამბო. მონაყოლით გააკვირვა, რამდენიმე დღეში კი ძმასთან და მეგობარ ჯუზეპესთან ერთად (რომელსაც თავისი პროფილით უურნალ „ტონი ნერიში“ დაეწყო მუშაობა) ნიუ-იორკში ეახლა.

თამადამ სტუმრებს ნაქები ქართული სტუმარ-მასპინძლობა ამჯერად ამერიკაში უჩვენა და, მართალია, მშობლიური კერძების ფართო არჩევანი ვერ შესთავაზა, სამაგიეროდ, ქართული ლვინით დიდად მოხიბლა ლვინოსთან ძალზე გაშინაურებული იტალიელთა სამეული. ხვანჭვარით შეზარხოშებულ ფრანკოს ერთი იდეა მოუვიდა თავში და ეს იდეა მეორე დღეს ჯერ ძმას გაუმხილა, შემდეგ კი, ლურჯი ვეშაპების ცქერისას, თამადა-საც გაანდო.



ნიუ-იორკში გატარებული ოთხი დღის შემდეგ მატეომ, ფრანკომ, ჯუზეპემ და თამადამ დასავლეთისკენ აიღეს გეზი და ქალაქ საკრამენტოში ჩაფრინდნენ. ლვინომ, რომელიც ამ ორიოდე წლის წინ კომპანია „ტონი ნერის“ ენოლოგებმა დააყენეს მრავალფეროვანი კუპაჟირების მეშვეობით და რომელსაც ფრანკომ „ფერადი აპერიტივი“ უწოდა (ისევე, როგორც საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებების შედეგად უურნალ „ტონი ნერიში“ გამოქვეყნებულ მასალას), საკრამენტოში გამართულ ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო ფესტივალზე უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

ამის შემდეგ იტალიელები და მათთან ერთად თამადაც საკრამენტოდან სან-ფრანცისკოში გადავიდნენ, სან-ფრანცისკოდან კი სამხრეთისკენ დაეშვნენ და ლოს-ანჯელესში ჩავიდნენ. კალიფორნიაში ათი დღე მოუწიათ გაჩერება და ამ ხნის განმავლობაში ყველა დროის ყველაზე დიდი ცხოველების, თითქმის ოც სპილოზე მძიმე ლურჯი ვეშაპების „თარეშსაც“ უცქირეს წყნარ ოკეანეში.

როდესაც გემიდან ლურჯ ვეშაპებს გაჰყურებდნენ, თამადამ ჩაილაპრაკა – „რა საოცარია და ლამაზი ეს სამყარო – ვინ ჩანვდება მის საიდუმლოებას?“ სწორედ ასეთმა აზრმა გაუელვა ფრანკოსაც ბროკენის ლანდისა და ედელვაისის დანახვაზე შვეიცარიის აღპებში.

ორიოდ წუთში ფრანკომ ქართველ მეგობარს კომპანია „ტონი ნერიში“ მუშაობა შესთავაზა და ისიც სამ კვირაში თავის იტალიელ მეგობარს ბრინდიზში ეწვია. თამადამ მონდომებით დაიწყო იტალიური ენის შესწავლა, ხოლო სანამ იტალიურს კარგად დაეუფლებოდა, ინგლისურს იშველიებდა თანამშრომლებთან სასაუბროდ.

ფრანკო კმაყოფილი იყო მეღვინეობის საკითხში თამადის აგრერიგად განსწავლულობის გამო. ის კარგად ერკვეოდა ალკოჰოლიანი სასმელების კუპაჟების გაანგარიშებებში, რომლებიც მათემატიკური ფორმულებითა და ციფრებით იყო გამოსათვლელი. მან კომპანია „ტონი ნერიში“ – ინუინერ-



ტექნოლოგად დაიწყო მუშაობა. საქმეს გულისყურით და შემართებით შეუდგა.

ქართველი დიდი ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე პიროვნებაც აღმოჩნდა. ყველაფერთან ერთად თითქმის პროფესიულ დონეზე ერკვეოდა ბევრ დარგში: ლიტერატურაში, მხატვრობაში, ქიმიაში, კრიმინალისტიკაში, პოლიტოლოგიაში, ისტორიაში, გეოგრაფიასა და ასე შემდეგ... – მრავალმა საერთო ინტერესის თანხვედრამ კიდევ უფრო მეტად დაახლოვა ერთმანეთს ფრანკო და თამადა.

ფრანკოს ცხოვრებაში სხვაც ბევრი რამ მოხდა აღსანიშნავი. მან, დიდი პაპის მსგავსად, თეთრი ცხენი შეიძინა. არაბული ჯიშის უზადო აღნაგობის თეთრონს შაგალი დაარქვა და ცხენზე ჯირითმაც ძლიერ გაიტაცა.

ფრანკომ დაწერა მოთხოვნა „დრო ნავივით მიცურავს“ უწოდა. წიგნს დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი მოყვა, მოკლე ხანში „ბესტსელერად“ იქცა და ნაწარმოების მიხედვით კინოს გადაღებაც დაიგეგმა. – რაც მთავარია, ფრანკოს და სოფიას შეეძინათ ვაჟი, მშობლებმა ახალშობილს, წმინდა ნიკოლოზის პატივსაცემად, ნიკოლა დაარქვეს.

ერთხელ, ფრანკო მისაღებ ოთახში ტყავის რბილ სავარელში მოკალათებულიყო და ენიო მორიკონეს მუსიკას უსმენდა. ბროლის ჭიქა, რომელშიც კოქტეილი ბრონქსი ესხა, დროდადრო პირთან მიჰქონდა, რათა ყინულით გაციებული ჯინის, წითელი ტკბილი ვერმუტის, ფორთოხლის წვენის და მშრალი ვერმუტის ნაზავით ყელი ჩაეგემრიელებინა. ცოტა ხანში რული მოერია, ძილს სავარელშივე დანებდა და ასეთი რამ ეზმანა:

— ვითომდა, იტალიის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე კირქვა-დოლომიტის მთების ძირას ჩამომჯდარიყო და ხელში ქარვის კრიალისანს ათამაშებდა. ცოტა ხნის შემდეგ, ისედაც მძინარეს ჩაეძინა და დაესიზმრა, თითქოს თეთრ თმა-წვერიანი



მოხუცი ტბა გარდაში ნავით შეცურებულიყო და ნაპირისკენ იყურებოდა, საიდანაც რამდენიმე ბოჭოჯლი ხე მოჩანდა. მოხუცს უძველესი წინ ვოვანი ხეების გაქვავებული ფისისგან დამზადებული ქარვის კრიალოსანი ეკავა ხელში. ზონარზე ასხმულ ერთ-ერთ ქარვაში იყო მწერი, რომელიც ოდესალაც ფისზე მიკრულა. რაღა თქმა უნდა, წესით, მკვდარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მას სიკვდილის არაფერი ეტყობოდა. მწერად გარდაქმნილი ფრანკო ცოცხალი თვალებით შეჰყურებდა მოხუცს.

ექვსს უკლია ოცდახუთი წუთი

„ზრაპოს ნათესავება დაუჯვრებელი რამ იხილა“

2011 წლის ერთ მშვენიერ დღეს, – კერძოდ 13 ივლისს, – ფეხბურთის დიდი მოყვარული, მშობლიური ნაკრებისა და „ბოტაფორის“ მრავლისმნახველი ქომაგი, სამოცდაჩვიდმეტი წლის ტიაგო ანტონიო, – კორკოვადოს მთის წვერზე მაცხოვრის უზარმაზარი ქანდაკების ქვეშ იდგა და გუანაბარის ყურეს, კოპაკაბანას პლაჟს, მთა პან-დი-ასუკარს და, ერთი სიტყვით, რიო-დე-ჟანეიროს თვალწარმტაც საერთო ხედს გაჰყურებდა. მას თან ახლდა ინგლისიდან ჩასული, ახლად დაარსებული ჟურნალის „ფეხბურთის სამშობლოს“, პორტუგალიური ენის მცოდნე ყმან ვილი ჟურნალისტი. ის საინტერესო საფეხბურთო მასალის მოსაგროვებლად გამოეგზავნა ჟურნალის რედაქტორის იმ ქვეყანაში, რომლის ეროვნულმა ნაკრებმაც ყველაზე მეტჯერ – ხუთჯერ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი და მომავალ მსოფლიოს მეოცე საფეხბურთო ჩემპიონატსაც ეს ქვეყანა გაუწევდა მასპინძლობას.

ლოურენს ბატჩერმა დიქტოფონი ჩართო და კითხვით მიმართა მოხუცს:

– თქვენ სტაუიანი გულშემატკივარი ბრძანდებით. სტადიონზე არა ერთი ძლიერი ფეხბურთელის თამაში გიხილავთ, ამასთანავე რამდენიმე საფეხბურთო ჩემპიონატსაც ეს ქვეყანა გაუწევდა მასპინძლობას.



— ამიტომ წინასწარ ვგრძნობ, რომ თქვენთან საუბარი და თქვენი აზრის მოსმენა ძალზე საინტერსო იქნება. გთხოვთ, გაიხსენოთ ის ყველაზე უფრო სასიხარულო და ყველაზე დიდი იმედგაცრუების ამბავი, რაც ფეხბურთისგან განგიცდიათ და დაგამახსოვრდათ.

— ასეთი ბევრი იყო... რომელი ერთი დაგისახელოთ? აი, მაგალითად, ერთი შეხედვით, თითქოს არც დიდ იმედგაცრუებასთან და არც დიდ სიხარულთან არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს იმ ამბავს, რომლის თვითმხილველიც გახლავართ, მაგრამ ძალიან გამახარა: 1953 წლის 9 ივლისი იყო... სწორედ იმ დღეს ცხრამეტი წელი შემისრულდა. ჩემს თანატოლ-მეგობრებთან ერთად „ბოტაფოგოს“ სტადიონისკენ გავწიე, რათა ჩემი რჩეული გუნდის ფეხბურთელების ვარჯიშს დავსწრებოდი. ფეხბურთელთა წვრთნას ვუცქირეთ და, როდესაც ეს პროცესი დასასრულს უახლოვდებოდა, „ბოტაფოგოს“ მწვრთნელმა ქვეყნის ნაკრების სახელგანთქმულ მარცხენა მცველს ნილტონ სანტოსს ერთი ყმან ვილის გამოცდა დაავალა. მინდორზე კოჭლობით გამოვიდა ჭაბუკი, გარშემო ერთი ვაი-უშველებელი ატყდა, იცინოდა ყველა, მათ შორის მეც. ცოტა ხანში კოჭლმა პასი მიიღო. ნილტონი მისკენ გაეშურა ბურთის წასართმევად და მიუახლოვდა თუ არა, კოჭლმა ბურთი მსწრაფლ ფეხებშუა გაუძვრინა. ნილტონმა გამოდევნება სცადა, მაგრამ წონას-წორობა დაკარგა და ფეხებაშვერილი ძირს გაიშხლართა, — სტადიონზე საყოველთაო ხარხარს მეც შევუერთდი. მაშინ რაღაც განსაკუთრებულად დიდი სიხარულის გრძნობა დამეუფლა. აი, ასეთი საჩუქარი „მომიძღვნა“ გარინჩამ დაბადების დღეზე და მომავალშიც ბევრჯერ დამასახუქრა თავისი საუცხოო თამაშით.

ტიაგომ ღრმად ჩაისუნთქა, ცოტა ხანს ჩაფიქრდა და საუბარი კვლავ ახალი შემართებით განაგრძო...

— გავიხსენებ ერთ შემთხვევასაც: შვედეთში გასამართი მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატის წინ, ამხანაგურ შეხვედრაში, ბრაზილიის ნაკრები „ფიორენტინას“ შეხვდა. ამ თამაშსაც სტადიონიდან ვუყურებდი. მატჩის მიმდინარეობის



ერთ-ერთ მოძენტში გარინჩამ „ფიორენტინას“ მთელი დაცვა მოატყუა, მიაყოლა მეკარეც და ბურთით კარის ხაზზე გაჩერდა. ტრიბუნებიდან ხალხი ფეხზე წამოიჭრა. გულშემატკივრები გაოცებულები შესცექეროდნენ მას. როგორც შემდეგ გაირკვა, თურმე, ბრაზილიელი მოწინააღმდეგის ერთ-ერთ მცველს უცდიდადა, რომელიც მეკარის დასახმარებლად მირბოდა. გარინჩა მოთმინებით უცდიდა, ვიდრე მიუჟახლოვდებოდა, მერე უეცარი მანევრით მოატყუა და ბურთიანად შევიდა „ფიორენტინას“ კარში. გარინჩას ფინტზე წამოგებულმა იტალიელმა კი ორიენტაცია დაკარგა და თავით კარის ძელს შეასკდა. ყველას სიცილი აუტყდა, მათ შორის „ფიორენტინას“ მოთამაშეებსაც. ეს იყო მართლაც „ლვთაებრივი კომედია“, ოღონდ ამჯერად დიადი იტალიელი პოეტის დანტე ალეგირისეული არა. ის თამაში ბრაზილიელებმა 4:0 მოიგეს და მსოფლიოს ჩემპიონატზეც, რომ იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით გაიმარჯვეს.

მოკლედ, ბრაზილიის ნაკრებისა და „ბოტაფორგოს“ თითოეული გამარჯვება ყოველთვის დიდ სიხარულს მგვრის, მაგრამ იმედგაცრუებაც მქონია. ამგვარი ამბებიდან უთუოდ გამოვარჩევდი ერთს, რის გამოც კვირის განმავლობაში ვტიროდი.

მამამ წამიყვანა მსოფლიოს 1950 წლის ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩზე დასასწრებად. მაშინ თექვსმეტი წლის გახლდით. „მარაკანა“ გადაჭედილი იყო – ურუგვაელებს ვხვდებოდით. მთელ ქვეყანას, მათ შორის მამასაც და მეც, გამარჯვებაში ეჭვი არ გვეპარებოდა...

ტიაგო ანტონიომ უცებ თხრობა შეწყვიტა. მოხუცმა და ახალგაზრდა ინგლისელმა ერთმანეთს გადახედეს. ინგლისელი გაოგნებული ჩანდა.

— ეს რას ნიშნავს? ძლივს წაილულლულა ლოურენსმა.

— დიახ, ეხდა ბრაზილიაში დრო გაჩერებულია, — გაჩერებულია მინუმუმ სამი წლით, — უპასუხა მოხუცმა.

ინგლისელის გაოცების მიზეზი რიო-დე-ჟანეიროს ცაზე გამოსახული საათი შეიქმნა, რომელიც სამი ფერით იყო განწყო-

ბილი. ფერთა პალიტრას: ყვითელი, მწვანე და ლურჯი ფერები შეადგენდა. საათზე რეალურთან შეუსაბამო დრო იყო დაფიქ- სირებული, — ექვსს ეკლდა ოცდახუთი წუთი... ჩვეულებისამებრ, პატარა ისარი ხუთსა და ექვსს შუა გაჩერდა, ხოლი დიდი ისარი შვიდთან დაფიქსირდა. უცებ საათის ციფერბლატზე 7-ის მაგ- ივრად აღიბეჭდა ლათინური ასო — B, 8-ის მაგივრად გამოიხ- ატა ასო — R, 9-ის მაგივრად ასო — A, 10-ის ნაცვლად ასო — S, 11-ის ნაცვლად ასო — I და 12-ის ნაცვლად ასო — L. ციფრები და ასოები თანაბარი რაოდენობისა და ერთმანეთთან ურთიერთ- ბროპორციული იყო. საათი ასეთ დროს გვიჩვენებდა — ექვსს ეკლდა ბრაზილია...

— დიახ, ექვსს უკლია ოცდახუთი წუთი ანუ ექვსს უკლია ბრაზილია!.. იმედია, მოვესწრები, იმედია ცოცხალი ვიქნები ექვს საათზე, — ეს სიტყვები აღმოხდა მოხუცს.



ეპილოგი

„მეცნიერებმა დაამტკიცეს,
რომ 30 ფუტზე გადახტომა შეუძლებელია,
მაგრამ მე მაგათ ნათქვამს არ ვუსმენ.
ფიქრი თუ დავიწყე, ფეხები დამიმმიმდება.“
კარლ ლიუის.

ადამიანის ფილოსოფიური აზროვნების უნარი და ზოგადად, მეცნიერების ერთ-ერთი დარგი – ფილოსოფია, გარკვეულწილად, ეხმარება ადამიანს რელიგიური მოძღვრების სილრმისეულ წვდომასა და სამყაროს საიდუმლოებების ამოხსნაში. ნებისმიერი მრწამსის აღმსარებელი ადამიანი სწორედ ამ ღრმააზროვანი წვდომის შედეგად ხდება კეთილშობილი. ის სულიერად გასხივოსნება და იმის მიუხედავად, რომ იდეალურ ანუ ღვთაებრივ სრულყოფილებას მაინც ვერ მიაღწევს, სამაგიეროდ, არასდროს ჩაიხშობს სრულყოფილებისაკენ სწრაფვის უინს... სამყაროსეული მთავარი საიდუმლოც ხომ სრულყოფილებაში იმაღება.

ერთი შეხედვით, არ არსებობს ერთმანეთთან შეუთავსებელი ისეთი ორი ცნება, როგორიც მეცნიერება და რელიგიაა, მაგრამ საფუძვლიანად თუ ჩავუკვირდებით, მათი სამოქმედო „დიაპაზონიც“ არ არის პატარა, ხოლო ასპარეზი ურთიერთგანსხვავებული. მიუხედავად ამისა, როგორც არ უნდა განვითარდეს მეცნიერება, ვერასდროს იპოვის სამყაროს მთავარი საიდუმლოს ამოსახსნელ გასაღებს.

მეცნიერებმა აღმოაჩინეს მატერიის უმცირესი ნაწილაკი – ატომი. მას ზომით წყლის ერთი პატარა წვეთიც ხომ უთვალავჯერ აღემატება, ლოგიკურად ისმის კითხვა: მაშ, როგორ შეიქმნა ატომი? – სავარაუდო პასუხის გაცემისას, სავსებით ბუნებრივად იბადება ტვინის მღრღნელი ახალი შეკითხვა: კი, მაგრამ ბუნებაში საიდან გაჩნდა ის მასალა, რომლისგანაც შემდეგ ჩამოყალიბდა ატომი?.. და ამის შემდეგ მომდევნო ლოგიკური შეკითხვები ისევე გაგრძელდება უსასრულოდ, როგორც თავად სამყაროა დაუსრულებელი...

მეცნიერები ვერასდროს გამოიტანენ ისეთ უცილობლად ამომწურავ დასკვნას, რომლითაც ამ ყოველივეს მოჰვენენ ნათელს, თუნდაც იმიტომ, რომ თვით ადამიანი ამ უკიდეგანო სამყაროში სწორედ იმ პანაწინა ატომივით მცირეა და მასზე უფრო პატარაც. იქნებ სწორედ ჩვენი ეს სიპატარავეა იმის მიზეზი, რომ ადამიანის შვილი ვერასდროს ვერ აღწევს დვთა-ებრივ სრულყოფილებას.

დაბოლოს, რამდენიმე საინტერესო ამბავს კიდევ მოგახ-სენებთ:

— ტონი ნერის საყვარელი ჩიბუხის გამოკვლევით აღმოა-ჩინეს, რომ თამადისა და ფრანკოს გენეტიკური ანაბეჭდები დაემთხვა ტონი ნერის გენეტიკურ ანაბეჭდს.

— ლოურენს ბატჩერი ფრანკოს პაპის — ბრუნოს დის, მა-რიას შვილიშვილია. მარიას ქალიშვილი სილვია ბალძარეტი ინგლისში გათხოვდა, ცოლად გაჰყვა ბანკირ ჯონ ბატჩერს და მისგან ეყოლა ლოურენსი.

— ფრანკო ნერიმ, რომელიც „მიღებული მასონის“ ტიტულს ატარებს ანუ ფრანკმასონია და მოქმედ ქვის მთლელთა ლო-ჟის წევრია, საქართველოში მონაწილეობა მიიღო თავისი საგვარეულო ლვინის მწარმოებელი კომპანიის „ტონი ნერის“ ფილიალის დაფუძნებაში, ხოლო ნიუ-იორკში კალატოზად მო-მუშავე თამადა, რომელსაც ამერიკაში მიაგნო, ამ ფილიალის ხელმძღვანელად დანიშნა.

სარჩევი

ბროკენის ლანდი და ელელვაისი	3
ტონი ნერი	4
ფრანკო ნერი	7
საქართველო	10
ნაწყვეტი ფერადი აპერიტივიდან	12
ღრო ნავივით მიცურავს	17
გროტესკული სიზმარი	19
ექვსს უკლია ოცდახუთი წუთი	22
ეპილოგი	26